


თბილისში მიუსაფარი ძაღვებისთვის კვების აპარატები დაიდგა



თბილისის სამ წერტილში უპატრონო ძაღვებისთვის განკუთვნილი კვების აპარატები განთავსდა. ესენია: რიყის პარკი, ვერის ბაღი და ვეტერანთა კურორტისა და დასვენების (კიკვიძის) პარკი.

მერიის განცხადებით, ძაღვების კვების აპარატები დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსდება.

კვების აპარატები ეკომეგობრულია, გადამუშავების პროცესს უწყობს ხელს და მზის ენერჯიას იყენებს. მათი მოხმარება მარტივია. კვების აპარატებში პლასტმასის 0,5 ლიტრიანი ბოთლის ჩაგდების შემთხვევაში, ძაღვებისთვის საკვები ჩამოიყრება, ხოლო დისპენსერში წყლის ჩასხმის შემდეგ, ცხოველები წყურვილს მოიკლავენ.

“საკმაოდ საინტერესო და კეთილი პროექტი განხორციელდა – მიუსაფარი ძაღვებისთვის სამ ადგილზე კვების აპარატები დაიდგა. ეს იყო წინადადება, რომელიც პროექტის “შენი იდეა ქალაქის მერს” ფარგლებში შემოვიდა, განვიხილეთ და მისი განხორციელების გადაწყვეტილება მივიღეთ. მომდევნო წლის განმავლობაში კი, დედაქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე, კიდევ არაერთი აპარატის განთავსებას ვგეგმავთ. მიხარია, რომ ასეთი კეთილი საქმე გაკეთდა და მადლობა იღვის ავტორს. ბევრი იდეა მოგვაწოდეთ, ჩვენ კი მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ქალაქისთვის მნიშვნელოვანი იდეები განვახორციელოთ”, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.



თბილისის მერის, ვახა კარაძის თქმით, აპარატები უკვე დატესტილია. 2019 წლის იანვარში, ქადაქს კიდევ სამი ასეთი აპარატი დაემატება. კვების აპარატთან ერთად, რიყის პარკში უპატრონო ძაღლებისთვის ხის სახრიც დაიდგა. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, პირველ ეტაპზე, თბილისის ქუჩებში ცხოველებისთვის 10 ხის სახრს დადგამს.